N 10
18/10/2019

10-07-4-201910181529

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №10

ქ. ლანჩხუთი 17. 10. 2019 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია" თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 31 ოქტომბერი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერს N2010 განკარგულებით მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500000 (ხუთასი ათასი ლარი), რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოებზე 90590 ლარი და არსებული ხიდების რეაბილიტაციაზე 404910 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარულებაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N2125 განკარგულებით კერძოდ შემცირდა გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა 1337 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურიდან შემოვიდა მოთხოვნა, რომ შიდა მონაცვლეობის (სხვა პროგრამების დაფინანსების შემცირების) ხარჯზე, ერთჯერადი დახმარების პროგრამას დაემატოს 1000 ლარი; ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრიდან შემოვიდა მოთხოვნა, რომ დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შრომის ანაზღაურების მუხლში 24 000 ლარის შემცირების ხარჯზე 21 200 ლარი მიიმართოს შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურების მუხლზე, ხოლო 2 800 ლარი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ ამ ცვლილებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.

3) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში შემოსულობებმა 6504056.69 ლარი შეადგინა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 4711862.6 ლარი, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 164700 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2167231,51 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად 744795 ლარი, სპეც-ტრანსფერი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებისათვის 375313 ლარი, განათლების (საჯარო სკოლების) ღონისძიებისათვის 824002,86 ლარი, სტიქიის პრევენციის ღონისძიებისათვის 375160 ლარი, 60668 ლარი ტრანსფერი ამბულატორიებისათვის, მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 7440082,24 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 78,1%-ს შეადგენს, ქონების გადასახდის შემოსავლების წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულებულია 87,6%-ით და საწარმოთა ქონების გადასახადი 339624,29 ლარი, სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 904700,23 ლარი, გეგმის 96.9%, მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 108471,86 ლარი, იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 9301,24 ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი 35619,66 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 633232,98 ლარი წლიური პროგნოზის 90,5%, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 76103,95 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 31325,93 ლარი, წლიური პროგნოზის 10,2%.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 12621468,73 ლარი. სექტემბრის თვეში შტატით დასაქმებულ მუშაკებზე გაიცა 3464389,7 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3106631 ლარი, მათ შორის შტატგარეშე მუშაკების ხელფასზე 1246275 ლარი, ოფისის ხარჯზე 469868 ლარი, ტრანსპორტის ხარჯზე 701453,7 ლარი, სოციალური პროგრამების ხარჯებზე 444439,66 ლარი, სხვა ხარჯების 251321 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 5043410,9 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების (გაყიდვის) კლებიდან მიღებულ შემოსავალში ჩამორჩენა დაძლეული უნდა იქნას წლის დარჩენილ პერიოდში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო